საქართველოს მთავრობის

დადგენილება №427

2022 წლის 17 აგვისტო

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის „მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის „მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაკეთების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/01/2014, 300160070.10.003.017598) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რეგლამენტი ვრცელდება საქართველოში რეგისტრირებულ ან რეგისტრაციისათვის განკუთვნილ ყველა სახის მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე, გარდა მოპედისა, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებული სპორტული დანიშნულების ავტომობილისა, აგრეთვე იმ სატრანსპორტო საშუალებისა, რომელზეც ხდება აირბალონიანი მოწყობილობის განთავსება, მოხსნა, დაყენება და პარამეტრების შეცვლა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 15 ნოემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**